№ 86 15 მარიამობისთვე, კვირა 1866–1876 13 მარიამობისთვე, კვირა № 86

**რედაქცია**

ველიამინოვის ქუჩაზე, არტემ ჩაიგეშტოვის სახლებში.

**ხელის-მოწერა**

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.

**გაზეთის ფასი**

წელიწადში—8 მან., ნახევარ წელიწადში—4 მან. და 50 კაპ., თვეში—1 მან.

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# დროება

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

**განცხადება**

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანცუზულს ენებზე.

**განცხადების ფასი**

დიდი ასოებით, ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე—8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ.—5 კაპ. და პეტიტით—4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა.

დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

## საქართველო

### მიცვალებულების მოხსენება

—

ჩვენ არ ვეკუთვნით იმ პირთ, რომელნიც ყოველგვარ თავის ხალხის ჩვეულებას, ხასიათს და სხვ., რაც უნდა უგუნური, უაზრო და მავნებელი იყოს, მაინც-და-მაინც აქებენ, ადიდებენ და ცდილობენ, რომ ყველა ესენი უკუნითი-უკუნისამდი წმინდათ და ხელ-უხლებელად დაცულნი იყვნენ.

მეორეს მხრით, არც იმ პირთ ვეკუთვნით, რომელნიც, თითქო წარმატებისა და ცივილიზაციის სახელით, უარჰყოფენ ყველაფერს თავის ხალხისას, უარჰყოფენ ამ ხალხის ყველა განსაკუთრებულ, ნაციონალურ ხასიათსა, ჩვეულებას და მიმზიდველობას.

კარგათ ვიცით, რომ ყოველ ხალხს, და განსაკუთრებით ჩვენისთანა გაუნათლებელ ხალხს, ბევრი ისეთი რამე აქვს ცხოვრებაში, რბილსა და ძვალში გამჯდარი, რომლის მიტოვება ხშირად უანგარიშო სარგებლობას მოუტანს. აგრეთვე ისიც ვიცით, რომ თუ ყველაფერი დავაგდეთ, რაც ჩვენ მამა-პაპათ ჩვენთვის უანდერძებია, რაც ჩვენს ხასიათსა, ჩვენს განსაკუთრებულებას შეადგენს, მაშინ თვით ქართველობაც დაკარგული და განიავებული შეიქნება.

მაგრამ არის, როგორც ზევით ვსთქვით, ბევრი ისეთი ჩვეულება და ცრუ-მორწმუნეობა ჩვენს ცხოვრებაში, რომლის გადაგდება ხალხს უანგარიშო სარგებლობას მოუტანს.

ერთი ამგვარ ჩვეულებათაგანი არის ჩვენებური ალაპები და საზოგადოთ მიცვალებულის მოხსენება.

ჭირისუფალს ვერ ნახავთ ჩვენში, რომ არ სჩიოდეს იმ უთავბოლო ხარჯზე, რომელიც მიცვალებულის დასაფლავებას მოსდევს. თითოეულად ყველას ჰსურს, რომ ეს მომეტებული ხარჯი, ეს ქელეხი, ეს ალაპი, ეს მეორმოცე დღეს მოხსენება მიცვალებულისა თავიდამ აიცილოს, მაგრამ სხვების მიბაძვით, მეზობლის მიხედვით და სირცხვილით ვერ აუცილებია.

არა გვგონია, რომ ან ღვთისა და ან კაცისათვის სასიამოვნო იყოს, როდესაც ურდო ხალხი, რომელიც ჭირისუფლის სახლში თავს იყრის, თვრება, უზომოთ ქეიფობს, ჩხუბობს და ხშირად, ნაღვინევი, ლეკურ-ხანჯლით დაერევა ერთმანეთს. ნამდვილი მწუხარება ქეიფითა და ღვინის სმით არ გამოცხადდება.

ის არა სჯობიან, რომ ეს უანგარიშო ხარჯი მოისპოს, რომ მოისპოს ხარჯი, რომელიც დამღუპველია უიმისოთაც მიცვალებულის მოკლებით დაზიანებულის ოჯახისათვის, და მის მაგიერად, მიცვალებულის სულის სახსოვრად რაიმე მართლა ნამდვილად სახსოვარი, კეთილი საქმე ჰქნას ჭირისუფალმა?

ის არა სჯობიან, რომ ამ კეთილის საქმის წყალობით, არათუ მარტო ჭირისუფლები, გარეშე კაცებიც კეთილად იგონებდნენ მიცვალებულსა! ახლა ხშირად მოხდება, არათუ გარეშე პირნი, თვით ჭირისუფლენიც კეთილად არ იხსენიებენ თავიანთ მიცვალებულს, რადგან იმის დასაფლავებაზე მოხდენილ ხარჯმა ცოცხლებს აზარალა და ოჯახი დაჰღუპა.

წაიკითხეთ დღევანდელ ჩვენი გაზეთის ნომერში დაბეჭდილი განჩინება სტეფანწმინდის სოფლის საზოგადოებისა და დამეთანხმეთ, რომ ამ საქმეში ჩვენ ქართლ—კახეთისა და იმერეთის ქართველებს წინ გაგვასწრეს და გვაჯობეს მთიულებმა, რომელნიც ჩვენ გაუნათლებლებად და თითქმის მხეცებად მიგვაჩნია.

ურიგო არ იქნება, რომ ჩვენ, „განათლებულებმა“ იმ „მხეცებისაგან“ ეს კეთილი მაგალითი ავიღოთ და ამ ნაირად მოვიშოროთ თავიდამ ერთი ჩვეულებათაგანი, რომელიც დამცემია ჩვენი ეკონომიურის ცხოვრებისა.

გვეყოფა ბევრი სხვა ისეთი მოვლინებანიც, რომელნიც გვალარიბებენ, ჩვენ-და-უნებურად, ისე რომ ჩვენ იმათი თავიდამ მოშორება არ შეგვიძლიან. ამის მოშორება მაინც ჩვენ ხელად არის...

ს. მ.

---

### განჩინება

„1868 წელსა, ჩვენ, სოფელს სტეფან-წმინდას მცხოვრებელთა, მოვიყარეთ თავი მოსალაპარაკებლად მასზედ, რომ ჩვეულებრივის მიცვალებულზედ დიდის ხარჯებისათვის რაიმე მოგვეკლო, რადგანაც ჩვენის ვალში ჩავარდნისა და სიღარიბის მიზეზი თითქმის მარტო ეს ჩვეულება არის.—ძველს ხარჯებს რამტეელითმე მოვაკელით, მაგრამ ფერსვები კიდევ დავუგდეთ და ამის გამო ზემოხსენებულს წელიწადს გარდაწყვეტილს ხარჯს მდიდარმა და ღარიბმა თან-თან ისევ მივუმატეთ ერთმანერთის მიბაძვით და ვითომ ჩვენის სახელის გულისათვის; ისე რომ ბოლოს საქმემ თითქმის წინანდელს მდგომარეობამდის მიაღწია.

„ამ მიზეზების გამო, ამა 1876 წელსა, რამტეელსამე სოფლისა და ხან სოფლის ამორჩეულთა პირთ კრებაში ურთიერთის მტკიცის თანახმობით გარდავწყვიტეთ შემდეგი:

„1) როგორც მიცვალებულის დამარხვის დღეს, აგრეთვე იმ დღეს შემდეგ რაც მთელის წლის განმავალობაში ხარჯები ვიცოდით, სულ ერთიანათ უნდა მოისპოს; მხოლოდ დამარხვის დღესა ღვდელ-დიაკვანთათვის, საფლავის მთხრელთათვის და მათთვის, ვინც მაშინ ჭირისუფალს მოეხმარებიან, ვაკმაინეთ ხარჯათ ორი პატარა საკლავი, ე. ი. ორი ცხვარი, ანუ ორი ხბო და ორი ფუთი წმინდა ფქვილი; თუ მარხვა იყვეს—ნახევარი ფუთი თევზი. სასმლის მიტანის ნება არც ერთს შემთხვევაში არ დაგვირთავს; მარტო საფლავის მთხრელებისათვის დაგვინიშნავს ერთი თუნგი სასმელი, რადგანაც ამითი საქმე ხშირათ დიდს ყინვებშია ხდება. ჩვენებური საფლავის კურთხება მიწვევნითა და დიდის ხარჯებით მოისპოს; ვისაც სურს თაბახით ცოტაოდენი რაიმე გაიტანოს საფლავზე, აკურთხებინოს და ღვდელ-დიაკვანს შინ თავის სახლში პური აჭამოს.

„2) რადგანაც ჩვენს ერში ბევრმა გამოაცხადა ის ჰაზრი, რომ მიცვალებულისათვის მიღებულის ხარჯების სულ გარდაგდება არ შეიძლება,—მაშინ რაღათი მოვიგონოთ ჩვენი მიცვალებულიო,—ამის გამო დავთანხმდით: ვინც მიცვალებულის საიქიობისათვის რაიმე ხარჯი მოინდომოს, იმან უნდა შემოიტანოს ფული ან შკოლისათვის, ან ბანკისათვის, ან სხვა რისთვისმე, რაზედაც შემდეგ თვითონ ქვემორე ხელის მომწერელნი ამ ფულის მოხმარებას მოინდომებენ. შეწირული ფული ერთს თუმანს არ უნდა გარდასჭარბდეს, რომ შემდეგ ერთმანერთის მიბაძვამ ბევრის შეწირვა არ გამოიკვლიოს და საქმე ღარიბის დასაღუპავათ არ გახდოს.—მაშინ ჩვენი დაწყობილება თავის მიზანს, ყველას სარგებლობას, ვეღარ მიაღწევს.

„3) მიცვალებულის საიქიობისათვის შეწირული ფული უნდა ჩაჰბარდეს ქვემორე ხელის მომწერელთაგან ამორჩეულთა პირთა, რომელთაც აღებული ფული იმედიანსა და სარგებლიანს ალაგს უნდა შეიტანონ და კუთვნილის ჩაბარების წერილით უნდა აცნობონ ქვემორე ხელის მომწერელთ, ფულის მიღების დღიდგან არა უგვიანეს ერთის კვირისა. ფულის გამოტანა კია ვერასოდეს ვერავის ვერ შეეძლოს, სანამ ყველა ქვემორეხელის მომწერელთაგან, ანუ იმათ მემკვიდრეთაგან, მინდობილობის წერილი არ ექნება.—ბოლოს სიტყვები, ვინც ამორჩეულთ პირთაგან ფულს ჩაიბარებს, ფულის მიღების წერილში უნდა გამოაცხადოს ყოველთვის, უეჭველად.

„4) ჩვეულობრივი მიცვალებულის ვაჟკაცის თოფის სროლით მოხსენება საკუთვნოთ მიგვიღია. შესანდობრად დასაყენებლად ორი მანეთი დაგვინიშნავს.

„5) რადგანაც ამ პირობის აღსრულება აუცილებელს საჭიროებათ მიგვაჩნია, ამის გამო პირობის გამტეხზედ ურთიერთის სრულის თანახმობით დავიდევა ა თ ი თ უ მ ა ნ ი გარდასახადი. ეს ფული უნდა აიღონ ამორჩეულთა პირთა და ამათ, როგორც ამ პირობის მესამე მუხლში არის მოხსენებული, ისე უნდა ასარგებლონ და იმავე მუხლში ნაჩვენების რიგით უნდა შეატყობინონ ქვემორე ხელის მომწერელთა.

„6) საჩივარი ამ პირობის გატეხის შესახებ არსად არ შეგვეძლოს სასოფლო საზოგადოების მოსამართლეთ იქით.

„სრულის თანახმობით ხელს ვაწერთ სტეფან-წმინდის მცხოვრებნი (ხელმოწერილია).“

---

### დღიური

—

ანდრეევსკის ქალისმოკვლის თაობაზე, როგორც სჩანს, ჩვენზე უფრო მომეტებული ქუთაისში სცოდნიათ.... მაგრამ ჯერ ჩვენ არ ვიტყვით--რა ცოდნიათ იქ და რას ლაპარაკობენ. ეს კია, რომ, თუ ნახევარი მაინც მართალი გამოდგა რასაც იქ ამტკიცებენ, საქმე გამოკვლეული იქნება და დამნაშავენი მალე აღმოჩნდებიან....

ამბობენ, გამოძიება ამ საქმის თაობაზე მალე, ძალიან მალე გათავდებაო.

***

რაც ჩვენ წარსულ ნომერში ვსთქვით, სვანეთის უწესოების თაობაზე, ოფიციალურის ცნობით გამართლდა. გაზეთს „კავკაზში“ არის ამას გარდა კიდევ დაბეჭდილი, რომ სვანეთის მცხოვრებლები, 600 კაცამდინ უეზდის უფროსის მოადგილესთან გამოცხადდნენო და ითხოვესო, რომ უწესოების მომხდენთ დასჯაში ჩვენც მივიღებთ მონაწილეობასაო. ჯალდეის მცხოვრებლები კი ჯერ კიდევ განზე არიან გამდგარნიო, სინანულს არ აცხადებენ და თითქო თავის დასაცველად ემზადებიანო. ამათ დასასჯელად და დასამორჩილებლად, მმართებლობამ საჭიროდ დაინახა, რომ სვანეთში ჯარი გაეგზავნა, რომელიც

შესდგება რამდენიმე ცხენოსანი და ქვეითი როტისაგან, რომელთაც მთის ზარბაზნები ძიაქეთ.

*
* *

დღეს, 15 აგვისტოს, ღვთაება—მიცვალების დღეა ღვთის-მშობლისა და წმ. ანტონის მონასტერში, მარტყოფს, დიდ-ძალი ხალხი მიდის; ზოგს აღთქმა მიუცია, ზოგი სალოცავად და მომეტებული ნაწილი კი უფრო დროების გასატარებლად, საქეიფოთ მიეჩქარება.

*
* *

ოფიციალურს გაზეთში გამოცხადებულია უმაღლესი ბრძანება, რომლის ძალითაც მემამულე-აზნაურთ მხრით ქუთაისის სავლეხო სასამართლოს წევრი ნადვორნი სოვეტნიკი თ. დ. ერისთავი, ამ თანამდებობის გაუქმების გამო, დაითხოვება სამსახურიდგან.

*
* *

იმერეთიდამ და სამეგრელოდამ ცუდი ამბები მოგვდის წლევანდელ მოსავალზე; ეს მეორე თვე მიდის, რაც საშინელი სიცხეები და გვალვა არისო, ერთი წვეთი წვიმა არ გადმოვარდნილა ციდამო და თუ ამ ერთ კვირასაც კიდევ უწვიმობამ გასტანა, უეჭველია, საშინელ ჭირნახულის სიძვირესა და შიმშილობას უნდა მოველოდეთო.

*
* *

მოგეხსენებათ, რომ მუდამ წლიწადს ქართლიდამ და იმერეთიდამ, განსაკუთრებით სამეგრელოდამ დიდძალი სიმინდი გააქვთ სამზღვარ გარეთ, უფრო ინგლისში.

ჩვენ შევიტყეთ, რომ ამ უკანასკნელ წლიწადებში სამეგრელოდამ თან-და-თან უფრო ნაკლებ გააქვთ სიმინდი, რადგან აქაურ მოვაჭრეებმა სახელი გაიფუჭეს მით, რომ სიმინდში მუდამ ქვიშასა და წვრილ ქვებს ურევენ. ამ მიზეზის გამო, ახლა იქაურ სიმინდს ფასიც მოაკლდა და აღარც იმდენი გააქვთ, რამდენიც ადრე გაჰქონდათ. ადრე წლიწადში კავკასიიდამ უკანასკნელი ერთი მილიონი ფუთი გაჰქონდათ და ამ ორ წლიწადს კი წლიწადში 600 ფუთზე მეტი არ გატანილა.

*
* *

ქალაქის მცხოვრებელს სოფლის ხალხი, ხამი ხალხი ყოველთვის აგდებული ჰყავს და თავის მახვილობისა და მოტყუების საგნად მიაჩნია. მაგრამ არსად არ ეპყრობიან ისე უსინიდისოთ სოფლის ხალხსა ქალაქელები, როგორც ჩვენში. რომელიმე უბრალო გლეხი ჩამოდის ქალაქში, ჩამოაქვს ან ურმით ან ზურგით რამე გასასყიდი, რომ აღებული ფულით ხელმწიფისა და ბატონის ხარჯიც გაისტუმროს და ცოლ-შვილიც შემოსოს; იმ წამსვე ბუზივით დაეხვევიან წვრილი ვაჭრები, ქალაქის ბიჭები, და კარგი კიდევ თუ გასასყიდში ნახევარი ფასი მისცე, ხშირად სულაც მოსტაცებენ და თუ გამოუდგა, კიჟ-ნას დასცემენ და დანარჩენ გასასყიდსაც დაიტაცებენ.

განსაკუთრებით წვალებული არიან თურმე ხილის მომტანი სოფლის კაცები; ბაყლებთან მიდიან ძალა-უნებურად; ისინი ნახევარ-წონაში მოატყუებენ, ზოგს ფულს დააკლებენ და ერთი მანეთის სალირალში ხშირად აბაზსაც არ აძლევენ. ხშირად ქუჩაში ჩხუბი და დავიდარაბა შეიქნება, მაგრამ აბა რა უნდა ჰქნას ამდენ უსინიდისო ხალხში ერთმა ან ორმა გლეხმა?

პოლიციის საქმეა, რომ ამგვარ აშკარა უსამართლობასა და უწესოებას ყური ათხოვოს...

## „დროების“ კორრესპონდენცია

**ქართლიდამ იმერეთამდინ.** აგვისტოს 4-ს. ამას წინათ ერთმა მოულოდნელმა შემთხვევამ გადამისტუმრა ქოჩორაზედ იმერეთისაკენ. სწორე მოგახსენოთ, ამ შემთხვევისა მე მადლობელიცა ვარ: კარგა ხანია არ მენახა იმერეთი და ცოტა არ იყოს მეხარებოდა იმის ხილვა.

პირველ საათზედ ზორიდამ გასული მე და ერთი ჩემი მგზავრი საღამოს ათს საათზედ ახალ სენაკში გავჩნდით.

მე ჯერ არ მენახა ახალ-სენაკი; ჩემი მგზავრი კი კარგა გაცნობილია ამ დაბას, ის შემიძღვა ერთ პატარა ოთახში. მივეცით ღრმა ძილს. რა სასიამოვნოა დაღალული კაცისთვის ღამით იმერეთის სოფელში მისვლა და ტკბილად მოსვენება! ყოველ გვარ მოძრაობაში და უმოძრაობაშიაც რაღაც კმაყოფილებას გრძნობს იქ კაცი, მეტადრე, თუ იმერელია, რომელიც ადრევე დარწმუნებულია, რომ ის აღუშფოთებელ, ნარნარ მიგებებას მოელის თავის ნაზ სამშობლოდამ!...

ამ უმანკო ძილმა გასტანა დილის ექვს საათამდინ; მაშინ კი დაკვირვებით აველ-დავავლე თვალი არე-მარეს; მშვენიერი სურათი წარმომიდგა:

ახალ-სენაკი სამეგრელოს აღმოსავლეთის ნაწილს ეკუთვნის; ის არ არის იმ გვარ ადგილებთაგანი, რომლებიც ნაქები არიან ციებ-ცხელებით. მშვენიერი მდებარეობა: ერთის მხრიდამ გადმოსჩერებია სქელი ტყით დაფარული, შავათ შემოსილი მთა, რომლის ხეობების სიღრმეში იკარგება იმისი სიმაღლე. ამ ხეობებში, კარგა მანძილით ერთმანეთზედ მოშორებით, გაფანტულან ხის სახლები. დანარჩენ სხვა მხრით გაშლილი ქალები, ხშირი და მაღალი ხეებით შემოსილები; ძირს მწვანე მინდვრები და ყანები, რომლებიც შეადგენენ სამეგრელოსა და იმერეთის ბუნების პირველ ღირსებას. მხოლოდ შორს, შორს სამხრეთით აიჭიმება დიდებული და მრისხანე აჭარის მთები.

ჩავკეტეთ მე და ჩემმა მგზავრმა ჩვენი პატარა ოთახი და გაუდექით გზას: მინდოდა უფრო დაახლოებით გამეცნო ეს ადგილი. ისეთივე და უკეთესი სიმშვენიერე. მე, ტიტველა მინდვრების, მათი ხარისხოვანი პაპანებას შეჩვეული, ბედნიერი ვიყავი ხშირი და მაღალი ხეების ჩრდილში სიარულით, თუმცა, თურმე, იქაურათ პატიოსნათ ცხელოდა.

ამ სიმშვენიერით გაკვირვებული უცხო ქვეყნის კაცი პირველს შეხედვაზედ იფიქრებს, რომ იქ ხალხიც ეგრე მდიდარი, მშვენიერი უნდა იყვესო; ჩვენ, იმერეთის შვილები, ამას, რასაკვირველია, არ ვიტყვით. იქისთანა სიცხეში, როგორც მაშინ იყო, იქაური ხალხი სადღაც ჩრდილში მწვანეზედ წამოწოლილი, ან სახლებში შებუდრულები განისვენებს. უმეტეს ნაწილ დროს უსაქმურად ატარებს. ცოტას აუშვებს თუ არა მზე თავის სასტიკ დეზებს დედამიწას, ცოტა აგრილდება თუ არა, მოდიან ეს უსაქმური მეგრელები საზოგადო ბირჟაზედ ერთად დროების მოსაკლავად. მშვენიერი, ლამაზი ხალხი თითქო ეჯიბრებათ თავის ქვეყნის ბუნებას სინაზეში, სილამაზეში. იქ დაინახავთ ყოველ საღამოობით ერთის საზოგადო დროების გასატარებელი სახლის ეზოში ჯგუფათ, ან გაფანტვით რამოდენიმე ოცს ყოველ გვარის მეგრელს, რომლებიც მხარზედ ან თავზედ გრძლათ შუაზედ გაკეცილი ყაბალახით, გრძელ, კოჭებამდისინ, ჩოხა-ახალუხში, ვიწრო მესტებში, ერთი ხელით ჯიბეში და მეორით ამპარტავნულათ დოინჯ შემოყრილი მიდის-და-მოდის კმაყოფილების გამომხატველ შეხედულობით.

რისთვის არიან ეგრე ზარმაცები და აქედამ ღარიბები მეგრელები, ამას ადვილათ ცნობს ის, ვინც აქაურ ბუნებას დაახლოებით გაცნობია და ამ ხალხის ისტორია იცის. ამაზედ ბევრჯერ იყო ნათქვამი „დროებაში“. აქ მე მხოლოდ მინუთურ შთაბეჭდილებას გარდავსცემ მკითხველებს.

მეგრელები და იმერლებიც რომ შრომის მოყვარენი იყვნენ *), იქაური მდიდარი ბუნება უხვად დაასაჩუქრებს მშრომელს, თუმცა აქაც არიან სხვა და სხვა გვარი გარემოებები, რომლებიც ძრიელ უშლიან მათ მეყაითად მუშაობას და ეჭვი არ არის, რომ თუ კაცი მუშაობის დროს ყოყმანებს, ერთ სწორე მიზანს ვერ ემსახურება, იქ არაფერი მტკიცე, საფუძვლიანი, საბოლოვო არ იქნება, და რომ ერთგულათ ვერ ჰკიდებს საქმეს ხელს, ამაში ისევ ის „სხვა და სხვა გვარი გარემოებანი“ არიან დამნაშავენი. იმერლის ჩვეულ, სენტიმენტალურ ბუნებას არ შეუძლია, რომელიმე საქმის კეთების დროს, თუნდა დღიური პურის კითხვა იყოს, წინაღუდგეს სასტიკ გარემოებებს და შრომის შედეგს მოთმინებით დაუცადოს; ეს კარგი თვისება როდი არის, მაგრამ მთელი ხალხის ბუნების, გარმონიის წინააღმდეგს რას იტყვის კაცი. ამიტომაც არის, რომ ყოველ ახალ საქმეს იმერლები საქართველოს ყველა სხვა ნაწილების ხალხზედ უფრო ხალისიანათ და ადრე ეგებებიან, მაგრამ თუ ამ გარემოებებთაგანი რომელიმე წინ დაუხვდა, უთუოდ იხევს უკან, როდესაც რომ სხვა მათი ძმები გვიან, მაგრამ უფრო ენერგიულათ ჰკიდებენ ხელს და ბოლომდის უფრო ითმენენ.

ავიღოთ, თუნდა, ხალხში წიგნ-კითხვის გავრცელება, რომელმანც იმერეთში ყველაზედ ადრე იშოვნა თაყვანის-მცემლები, მაგრამ რას ვხედავთ ეხლა? იმერეთი და სამეგრელოც ამ მხრით დიდათ არ წასულან სხვების წინ. მართალია, შკოლების და შიგ შაგირდების რიცხვი იქ ბევრია, მაგრამ შკოლების მიზანი კი ძრიელ სუსტათ მიდის; ეს იმისაგან არის, რომ სწავლის მოყვარე იმერლები პირველათ აძლევენ შვილებს შკოლაში და ინახავენ კიდეც შკოლას, მაგრამ ჩქარა დაინახავენ, რომ სიღარიბე ნებას არ აძლევს, გამოჰყავთ თავიანთი შვილები, რომლებმაც მარტო ანბანი იციან. ამისთანებს იმერეთ-სამეგრელოში ბევრს იპოვით, მაგრამ როგორ უნდა გამოიყენონ ამისთანა სწავლა? ახალ-სენაკშიაც არის ეხლა შკოლა, მაგრამ არ ვიცი კი როგორის წარმატებით მიდის იქ საქმე. როგორ უნდა ვსთქვა, მაგრამ საშკოლე სახლის მოწყობილობა აქაური მასწავლებლის უერთგულებას აჩვენებს, თუმცა კი ხშირად მახინჯური გარეგნობა ბრწყინვალე შინაგნობას შეიცავს.... მხურვალის გულით ვისურვებ, რომ ეგრე იყვეს, მაგრამ....

სამეგრელოს სხვა შკოლებზედ ვერას ვიტყვი, როგორც ამაზედაც არას ვამბობ იმის მეტს, რაც ჩემის თვალით არ დავინახე. ამ შკოლასაც იმ უმოწყალო სიღარიბის ფერი ადევს, როგორიც მთელ ხალხს!...

ორი დღის შემდეგ მე გამოვეთხოვე ახალ-სენაკს. საათის ათზედ რამოდენიმე ათმა კაცმა, თითქმის მარტო მეგრელებმა გამოიყვანეს ახალ-სენაკიდამ მატარებელი ოცოდე ცარიელი მუშა ვაგონები სტ. აბაშისაკენ. მე და ჩემი მგზავრი გამოვყევით ამ პოეზდს.

აბაშაში ერთი მშვენიერი ცხელი დღე მოვკალით; საღამოზედ გამოვეთხოვე ჩემს მგზავრს და გავსწიე ცხენით სოფ. სამიქაოსაკენ, რომელიც ამ სტანციიდამ თურმე ექვსი, თუ შვიდი ვერსით ჰყოფილა მოშორებული, თუმცა მე კარგი ოთხი საათი დავყავი გზაში, რადგან გზა არ ვიცოდი და ერთი სოფლის ბოლოდამ ხშირად დაუბრუნდებოდი თავში, რომ სხვა გზა ამერჩია.

საათის რვაზედ მივედი სამიქაოშიაც. ამ სოფელზედ, თუ ახსოვსთ მკითხველებს, იყო ნათქვამი „დროებაში“; მე აქ სხვას არას ვიტყვი, გარდა იმისა, რომ ამ ქვეყნის მშვენიერ,

*) ჩვენი ხალხი, განსაკუთრებით მდაბიო ხალხი ზანტი არისო,—ეს „დროებაში“, რამდენათაც გვახსოვს, არასოდეს არ თქმულა არც დამტკიცებულა, და არ თქმულა იმიტომ, რომ ეს შემცდარი აზრია: ხალხი მუშაობს, ბევრსაც მუშაობს, მიწაც მდიდარია; მაგრამ მაინც კიდევ ღარიბი ვართ. მიზეზი სხვა-და-სხვა არის—გარეშე და შინაური... რედ.

კეკლუც ბუნებით ხეირიან ხალხს სხვა ნაირად შეუძლიან ისარგებლოს; სამიქაოელების ხელში კი ბრალია ეს ქვეყანა. შკოლები იქ რა მჰქნა? ზოგიერთი კეთილი ხალხისა, რომელიც ღირსეულ კმაყოფილებათ სთვლის სიტკბეს სოფლის ბუნებით, მეტადრე ისეთების, როგორიც არის სამიქაო და სხვა კიდევ ბევრი—ამისთანა ხალხისა რა მოგახსენოთ, და ისეთები კი, რომლებსაც ხმაური ცხოვრება, ქეიფი და მხიარულათ დროების გატარება მუდამ ტვინში უძევს, სამიქაოში, როგორც სხვა სოფლებშიაც, ვერ გაძლებენ: ხალხი არ არის, რომ მასთან გაევერთოვო!—ამბობენ და თუ როდისმე მიელენ, იჩქარიან განთავისუფლებას. ასე, ამნაირად ბუნების სიმშვენიერესთან რომ აქ განათლების ლამპარიც უნათებდეს აქ ურებს გონებას, უჩვენებდეს კეთილ გზას, ეს ხომ მეტი იქნება და მეტი ჩვენში ჯერ-ჯერობით მარტოცუდი უნდა იყოს; კარგი მოუთმენელია.

ჩემ სიტყვებს, თუმცა ვიცოდი, არაფერი განვლენა ექნებოდა საზოგადოებაზედ, მაგრამ მე მაინც, როგორც პირ-და პირ მოვალეს, არ შემეძლო არ მეთქვა ზოგიერთათვის მაინც ორიოდე ჩამაგონებელი სიტყვა შესახებ შკოლის გაკეთებისა. სამწუხარო ის არის, რომ ამ ჩაგონებით თითოოროლა თანხმანი გ ხდებიან, ყველასაგან კი ერთად ვერაფერს ხეირიან, საიმედოს ვერ გაიგონებ. მგრე თუ სხვანაირად, იქ ამ საქმეს წარმატება ექნება, რომ ერთი ვინმე მოთავე ჰყავნდეთ. ხალხი მაინცა-დამაინც ღარიბი არ არის, მაგრამ თავით-ბოლომდისინ ყველანი ერთგვარათ უმეცარნი არიან. არიან ორიოდე გვამი, თფილისის სას. სემინარიაში კურს შესრულებულები, მაგრამ ღმერთმა ნუ გააბრიყვოს ისინი ამ კეთილ საქმისთვის! განათლებულები არიან; ქალაქებში დროების გატარება უფრო მოსწონთ, სოფელში რათ გამოილამებენ გონებას?!

(დასასრული შემდეგ №-ში)

---

**საჩინოდამ**, 9 აგვისტოს. ადრეც იყო ჩვენში ცუდ-კაცობა, მაგრამ ამ უკანასკნელ წელს მაგრათ გაიდგა ფეხი განსაკუთრებით ქურდობამ. რასაც მოახერხებენ, არაფერს ზოგამენ მოსაპარავად: ცხენი, ხარი, შინაური ფრინველი, სახლების ტეხა და სხვ... ნამეტურ ცხენების ქურდობა გახშირდა: ვისაც კი ცოტაც არის ხეირიანი ცხენი ჰყავს, თავის საკუთრებათ ველარ სთვლის, რადგან იცის, რომ დღეს თუ ხვალ მაინც წაიყვანებენ ქურდები. ზოგიერთ ისეთს გლეხებს მოჰპარეს ცხენები, რომლის სიმდიდრეს ერთი ცხენი შეადგენდა; ამ ცხენით მას მიჰქონდა ქალაქში სხვა-და-სხვა ნამუშევარი, ჰყიდდა და მით გადასახადსაც ისტუმრებდა და ტანსაც იმოსავდა. ამისთანა გლეხი მივა მამასახლისთან მოწმობის გამოსართმევად, თუ რა ფერის, ან რა ნიშნების იყო მისი დაკარგული ცხენი, და ბატონი მამასახლისიც ცოტას „შეფცქვნის" და მისცემს მოწმობას.

ახლა ცხენის საძებრათ მიდის, მაგრამ არ იცის—საით წავიდეს. გაგონილი აქვს, რომ ბანძულებმა იციან ცხენის ქურდობაო და გასწევს ბანძისაკენ. მაგრამ რას იპოვნის? კიდევაც რომ იპოვნოს, ზურგს გაუხურებენ ცემით. გლეხი ხომ ყველას დაჯაბნებული ჰყავს!... მეც არის, „მგელს მგლობა დაუვარდა, ტურამ ქვეყანა დააქციაო"—ნათქვამია. ისე ემართება ბანძელებს. ხშირად ნაქურდალი ცხენი აქვე გამოჩნდება, მეზობელთან.

ცხენის ქურდობის შემდეგ პირველი ადგილი უჭირავს სახლების და დუქნების გაცარცვას. როგორც სხვა სოფლებში, საჩინოშიაც არის თითო-ოროლა დუქანი. ერთი მედუქნე ორჯერ გაქურდეს ისე, რომ კაპეიკის საღირალი არა დაუტოვებიათ რა და საწყალი მედუქნე ახლა თითქმის ულუკმო-პუროთაა.

რაც შეეხება წვრილმან ქურდობას, მაგ. ღვინის, სიმინდის, ქათმის, ინდაურის და სხვ. ამათი ანგარიში არ არის.

დასამტკიცებლად იმისა, რომ ნამდვილი მეზობლები ქურდობენ, მე მოვიყვან ერთს ახირებულ შემთხვევას, რომელიც ამ წლის გასულს თვეებში მოხდა საჩინოში.

ერთმა პატივცემულმა აზნაურმა უჩივლა მომრიგებელ მოსამართლესთან თავის ერთა (19 წლის) შვილს, რომ ჩემი შვილი არ მემორჩილებაო და გთხოვთ დასაჯოთო.

დაიბარეს სასამართლოში მამაც და შვილიც. შვილს ჰკითხეს:—რისთვის არ ემორჩილები მამასო? შვილმა მიუგო, რომ მე მამაჩემს ყოველთვის ვემორჩილები. მხოლოდ ერთხელ შემემთხვა დანაშაულობა და მისთვის მიჩივისო.—რა დანაშაულობა?—ის, ბატონო, რომ ერთხელ რაღაცები მოვიპარე და მაგისთვის არ მიხვედრებია ნაწილიო!

გამომძიებელმა ჩაუდგა ამათ კვალში და აღმოჩნდა, რომ ესენი ორივე ქურდები ყოფილან და ბევრი სხვა ამხანაგებიც ჰყოლიათ. თურმე რაოდენიმე ყმაწვილ კაცებს, და დარწმუნებით სთქვეს თვითონ გამოტეხილმა ქურდებმა, ქალებსაც შეუფიცნიათ ერთმანერთისთვის, რომ: ერთმანერთი არ გავამჟღავნოთ ამ ჩვენ წმინდა საქმეში და რასაც მოვიპარავთ, თანასწორ გავიყოთ ყველამო! წინა-მძღოლი ამათი ყოფილა ზემოთ თქმული მამა, აზნაური თ. ს—შვილი.

ეხლა ამ საქმეზედ გამოძიება არის და ამ ჟამად ორივ დაატუსაღეს. თვითონ ქურდები ამტყუნებენ ერთმანერთს პირში: შენ მასწავლე ქურდობაო! ერთი ქურდთაგანი ამბობს, რომ: ასე უცბათ, რომ არ შეეტყოთ ჩვენი ქურდობა, ბევრს უფრო მეტ ქურდობას მოვახდენდითო! იგივე ქურდი თითით უჩვენებს იმ აზნაურზე, რომელიც შვილს უჩივოდა, რომ მისი ცოლი და ქალები ჩვენი ამხანაგები იყვნენ ქურდობაშიო.

გამოჩნდა, რომ რაც ჩვენში ცხენები იკარგებოდა, სულ ამათ წაეყვანათ. ვისაც რამე დაკარგვია ახლო სოფლებში, ყველა ამათ უჩივის; მაგათ მოგვპარესო!

მცხოვრებლებმა მიაქციეს ყურადღება ამ დამღუპველ საქმეს და აირჩიეს, ფიცით, ყოველ სოფელში რაოდენიმე პატიოსანი კაცი „ხევისთავად", რომლების დანიშნულებას შეადგენს: 1) რომ ვისაც რამე დაეკარგება, ამათ მიმართონ და ამათ უნდა იხმარონ ყოველი ღონის-ძიება პოვნისათვის; 2) „ხევის თავებს" უფლება აქვსთ გაჩხრიკონ მცხოვრებლები; 3) აგრეთვე უცნობ უბილეთო კაცს არ გაუშვებენ სოფელში, შეიტყობენ: ვინ არის, რისთვის მოსულა ან ვისთან?

ამ „ხევისთავების" წყალობით, ბევრი ქურდები გამოჩნდნენ, ეხლაც ჩნდებიან და სულ ყურით მიაჩანჩალებენ სასამართლოს კარებისაკენ. თუ ეგრე პატიოსნათ მოიქცნენ ეს „ხევისთავები," როგორც ეხლა, იმედია, მალე მოისპობა ქურდობა ჩვენში და ხალხი ცოტა მოსვენებით იცხოვრებს.

სალხინოელი

## უცხო ქვეყნები

**ომის ამბავი.** ბრძოლის ველზე საქმეები ისე მსწრაფლად მიდის, რომ უეჭველია, ამ რამდენიმე დღის განმავალობაში უნდა გადაწყდეს: ვინ დარჩება გამარჯვებული. ორივე მხრით—ოსმალეთისა და სერბიისა—უმთავრესი ჯარები ალექსინაცთან არიან გაჩერებული და აქ უნდა გადაწყდეს თითქმის ბრძოლის ბედი. გუშინ მოსული დეპეშა გვატყობინებს, რომ ალექსინაცთან ბრძოლა უკვე დაწყებულა. სოფ. სუტოვიცთან არის თურმე ამ ჟამად გაცხარებული ბრძოლა და ორივეს მხრით, როგორც იწერებიან, 160,000 კაცი არის მებრძოლი. სერბიის ჯარის წინამძღოლად ღენერალი ჩერნიაევია, რომელსაც მორავისა და ტიმოკის ჯარის სარდლობა აბარია.

ამ ნაირად მთელი სერბია ახლა ალექსინაცსა და იქ მომქმედ ჩერნიაევს შესჩერებია; თუ გაიმარჯვეს აქ, ხო კარგი, ხო კიდევ იმედი დარჩება სერბიას ხელის გამობრუნებისა და თუ აქ დაამარცხეს, მერე კი საქმე ძალიან საშიშს მდგომარეობაში იქნება, მერე კრაგუევაცთან გადაწყდება საბოლოოთ იმის ბედი.

— ამას წინათ იწერებოდნენ საზღვარ გარეთის გაზეთებში, რომ ზოგიერთი სახელმწიფოები, და სხვათა შორის, რუსეთი და ინგლისი, მეცადინეობენო, რომ მებრძოლთ სერბიასა და ოსმალეთს შუა მორიგება მოახდინონო. ამასაც ამბობდნენ: ბელგრადში დიდი პარტია შესდგა, რომელიც თხოულობსო აგრეთვე, რომ შეურიგდეთ ოსმალეთსაო, თორემ დაგვამარცხებს და მერე სულ უარესს მდგომარეობაში ჩავვარდებითო. იმ თავით სერბიის მთავარი და ყველა იმის მინისტრები ამ აზრის ყოფილან, გარდა რისტიჩისა. ახლა კი საქმე ისეთ ნაირად [illegible] რალი ჩერნაევი ეთის, იმედებს აძლევს სერბიას, რომ მორიგებაზე ლაპარაკს ალარავის აბედვინებენ თურმე: ბოლომდი უნდა მივიყვანოთ საქმეო.

— 12 აგვისტოს კრუშევაცთან ყოფილა გაცხარებული შეტაკება და საღამოს 4 საათამდინ სერბიელები ყოფილან გამარჯვებულნი. ძალიან ბევრი აფიცრები დაუხოციათ ამ ბრძოლაში; განსაკუთრებით ბევრი დახოცილან, როგორც იწერებიან, რუსის აფიცრები, რომელნიც წინ მიუძღოდნენ სერბიის ჯარს და მამაცურად ომობდნენო.

— ლეშანინი თავის ჯარით ზაიჩარის თავს—დასხმას ემზადებაო, სადაც ოსმალები არიან გამაგრებულნიო.

— ხორვატოვიჩის ორი ქალაქი—პანდირალლო და ბრამმადა წაურთმევია ოსმალებისათვის.

— პეტერბურღის გაზეთებში დაბეჭდილია, რომ სტამბოლში ხმა გავარდაო, რომ ჩერნოგორიაში მებრძოლი ოსმალეთის სარდალი მუხთარ-ფაშა მთელი თავის ჯარით დაუტუსაღებიათ ჩერნოგორიელებს, რომელნიც ეს ორი კვირაა გარს ეხვივნენ და არსაიდამ გასაქცევი გზა არ მისცესო.

---

**ოსმალეთი.** რადგან ხონთქრის მურად მეხუთის მორჩენას არა ეშველა რა, ამის გამო იმის ძმას აბდულჰამიდს სთხოვეს მინისტრებმა, რომ ტახტზე ასულიყო. ის დათანხმდა თურმე, მაგრამ იმ პირობით, რომ ჯერ ვენიდამ მოიყვანეთ საუკეთესო ექიმები, იმათ შეამოწმონ სულთანი და თუ იტყვიან, რომ იმის მორჩენა შეუძლებელია, მაშინ შეიძლებაო.

გაზეთებში იწერებიან, რომ იმ წამსვე დეპეშით დაიბარეს თურმე ვენიდამ რამდენიმე ექიმი, რომელთაც დახედეს ავათმყოფი და გადაწყვიტეს, რომ ავათმყოფს ნერვები დასუსტებული აქვსო, მაგრამ ორი კვირის განმავალობაში შეიძლება ამის მორჩენაო. ეს სტამბოლის გაზეთებში სწერია; სხვა ქვეყნის გაზეთებში კი სხვა ნაირად სწერენ: ამბობენ, ვითომც ამ ექიმებს ეთქვათ, რომ სულთან მურადის მორჩენა შეუძლებელიაო; და არა თუ მარტო ის, მთელი იმის ოჯახში ყველა ისეთნაირად არიან ნერვებ-მოშლილები და ტვინ-დასუსტებულები, რომ სახელმწიფო საქმეების გამგებლობა იმათ არ შეუძლიანთო.

## ნარევი

პარიჟის უმაღლესს საექიმო სასწავლებელში ამ ჟამად 28 ქალი სწავლობს. მომეტებული ნაწილი ამათგანი უცხო ქვეყნიდამ არიან მოსულნი პარიჟში, რადგან აქაური „საექიმო შკოლა" ყველა სხვა ამ გვარ უნივერსიტეტებზე უფრო განთქმულია და გამოჩენილი.

* * *

საფრანგეთში (შამპანში) ყოველ წელიწადს თექვსმეტი მილიონი ბოთლი შამპანის ღვინო მზადდება. აქედამ თვითონ საფრან-

გეთში მხოლოდ სამ მილიონ ბოთლს სმენ, დანარჩენი კი სხვა ქვეყნებში გააქვთ და ყველაზე უფრო მომეტებული რუსეთში და ამერიკის შეერთებულ შტატებში.

*
* *

ერთს ამერიკულ გაზეთში შემდეგი განცხადებაა დაბეჭდილი ვიღაც დალაქისა:

„საუკეთესო სისტემით კბილის მოთხრა!

„სამ მანეთად ისე მოვთხრი კბილს, რომ სრულებით ვერ იგრძნოს კაცმა.

ორ მანეთის თუ მოიტანს, ცოტათი ეტკინება; მაგრამ ვაი იმას, ვინც მანეთის მეტს არ მომცემს: ისე ეტკინება კბილები, რომ არც კი ვიცი—გადურჩება თუ არა!“

ერთი რუსული გაზეთი ამბობს, რომ ეს დალაქი ჩვენ რკინის გზას გვანებიაო.

ნეტავი იმას, ვინც პირველ კლასში ჩაჯდება: წყნარად, შეუშფოთებელად იგზავრებს; მეორე კლასის მოგზაური კიდევ ცოცხალი და მშვიდობით გადარჩება, თუმცა ცოტაოდენ უსიამოვნებას კი ნახავს გზაში; მაგრამ ვაი მესამე კლასის მოგზაურს: თუ კისერი არ მოსტეხეს, ცხვირს მაინც გაუჭეჭყენ, ან ვინმე მაინც სცემს გზაშიო!..

## ბუკი

სპილენძის ბუკი საყდრის კუთხეში
ძირს ეგდო, მტვერში მივიწყებული,
ჟანგ მოდებული; ავიღე ხელში
და დავაჩერდი დაფიქრებული.

მან მომაგონა ის დრო წასული,
როს იმის ხმაზედ აღიძვრებოდა
მთლათ მთა და ბარი, ყოველი სული,
ვისაც რომ მკლავი ემაგრებოდა.

როს მართლის წყრომით გულ აღვსებულნი
საბრძოლ ადგილზედ ყველა მირბოდა;
მის სიმხნით იყვნენ გაქეზებულნი
და ყველას ომი ენატრებოდა.

როს არა ჰქონდა არავის გულში
მცირე ადგილიც საძრახ სიმხდლისა;
გმირობის სახელს ირჩენდნენ ჩხუბში,
ზარსა დასცემდენ მამულის მტერსა.

როს ყველას ჰქონდა პატიოსნება,
ამხანაგობა მაღალი სული,
ქრისტიანული ძმათ-მოყვარება,
სასტიკად სიტყვა თვისი დაცული.

როს მრუდ განზრახვას ყველა სდევნიდა,
მოვალეობა თვისი ესმოდათ;
ერთი მეორეს მკვიდრ ძმათ ხედვიდა,
ძმებთ საზიანო არა უნდოდათ.

როს შემწე იყვნენ ერთმანერთისა,
თავის სამშობლოს თავსა სწირავდენ;
დამცველნი იყვნენ თვის უფლებისა,
ძმებთ საზიანო არა უნდოდათ....

დიდი ხანია წავიდა ის დრო!
ზღაპრათ ვთვლით ეხლა იმ დროს ამბებსა;
ეხლა ვინ ნახავს კაცს, იყოს სანდო?
საფლავს გაუთხრით მეგობრებს, ძმებსა!

პირადობითი სარგებლობისა
ვართ ამ დროს ყველა თაყვანის მცემნი;
მამულის, ძმობის ერთგულობისა
მხოლოდ სიტყვით ვართ მღაღადებელნი.

მაგრამ ნუ ჰკარგავ, ბუკო, იმედსა!
გამოვიღვიძებთ როცა იქნება..
შესძრავს ჩვეულებრივ ვაკეს და მთებსა
შენის ძახილის კვლავ გაგონება.

ჩაგვბერავ სულსა ვაჟკაცობისას,
აღგვინთებ ყველას მღვთიურ ცეცხს გულში!
კვლავ დაგანახვებთ სეირს მტრებისას
და მით შენც გაგრევთ ჩვენს სიხარულში!

დ. ლეონიძე

ს. პაცხი, 1876 წ.



# განცხადებანი

დაიბეჭდა ქუთაისში და ისყიდება სასწავლებლის ზედამხედველთან უ. მ. ასათიანთან

## კანონები

მღვდელთათვის საცოდნელად საჭირონი, სასულიერო სასწავლებელთა და სხვათა წესდებათაგან გამოკრებულნი ქართულს ენაზედ. (3—2)

## LA VELOUTINE

(ველუტინი)

ერთნაირი ბრინჯის პუდრი (უმარილო), ბისმუტით გაკეთებული.

ისეთი ზედმოქმედება აქვს ადამიანის ხორცის კანზე, რომ ალბობს და ახალგაზდა ადამიანის კანს დაამსგავსებს.

კანს ეკვრება და არა სჩანს.

შ. ფაი — გამომგონი

## pommade satin

(ატლასის პომადა)

ხელების კანის რბილად შესანახავად; ზამთარში არ დაუსკდება ხელის კანი, ვინც ამ პომადას ხმარობს.

9, Rue de la Paix, Paris

156—54

## საუკეთესო საშუალება

თაგვების, ვირ-თაგვებისა და ბუზანკალის გასაწყვეტად

რის ბუტმანი, ქიმიკოსი პეშტიტამ,

იმპერატორის სასახლის მეიჯარადრე

რომელსაც პრივილეგია აქვს უცხო ქვეყნების სასახლეებისაგან.

პატივი მაქვს პატივცემულ საზოგადოებასა და მოვაჭრეებს წარუდგინო ჩემგან მოგონილი საშუალება თაგვების, ვირთაგვებისა და ყოველგვარი ბუზანკლების, როგორც მაგალითად: ნამის ჭიისა, ჩრჩილის, ჭინჭველის და კედლის-ტილის გასაწყვეტად. ხსენებული საშუალება ჩემგან შედგენილია და მთელს ევროპაში ცნობილია, როგორც საუკეთესო საშუალება.




1872 წლის მოსკოვის პოლიტეხნიკურ გამოფენისდროს ამ საშუალების გამოგონისათვის, დიდი ვერცხლის მედალი მიიღე და აგრეთვე ვენის გამოფენაზე 1873 წელსა.

გამომგონი პასუხს აგებს.

ვინც ნარდათ იყიდის, უფრო ნაკლებ ფასად დაუთმობენ.

პრეის-კურანტი:



წამალი თაგვებისა, ვირთაგვებისა და თხუნველისათვის—1 მ. და 50 კ. პარაშოკი ნამის ჭიისა, ჩრჩილისა, ჭინჭველისა და რწყილისათვის ღირს 1 მ.; ამასთანავე რეზინის შხაპუნაა საჭირო, რომელიც 60 კაპ. ღირს. კედლის-ტილის წამალი—1 მან.; სასიამოვნო სუნი აქვს და არც ლოქას დასტოვებს, რაზედაც დაასხმენ. დამბრეხბული ხორცის (მაზოლის) წამალი, ერთი ბანკა—60 კაპ.



უმთავრესი დეპოარის თფილისში, დვორცოვის ქუჩაზე, არწრუნის ქარვასლაში, ლანკოს მუზიკის მაღაზიაში; ვლადიკავკაზში, სევალთან, ალექსანდროვსკის პროსპექტზე, ლებედევის სახლში; სტავროპოლში—კურილჩენკოსთან.

ამ ქალაქებს გარეშე მცხოვრებლებმა ფოჩტის ფული ცალკე უნდა გამოგზავნონ. აქვე ისყიდება თმის საღებავი. 54—27

## კავკასიის საბებიო ინსტიტუტი

## სამშობიარო ჰოსპიტლით

(ვერაზე, ფოჩტის სტანციის მახლობლად)

მშობიარე ქალებს ყოველ დროს დღე და ღამე მიიღებენ. აქიმობისთვისა და საწოლისთვის დღეში ათი შაური; ღარიბები მუქთად. ჰოსპიტალში არის ცალკე (საიდუმლო) ოთახები თვეში 30-50 მანეთად.

რჩევისათვის ავათმყოფებს ყოველ-დღე მიიღებენ, კვირის გარდა; ვიზიტისა და წამლის ფასი ექვსი შაური; ღარიბები მუქთად.

ყოველ დღე დილის 8 საათიდამ $9^{1}/_{2}$-მდი დოქტორი არტემიევი და $9^{1}/_{2}$-დამ 11-მდი დოქტორი ანანოვი.

ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით, დილის 11 საათიდამ 12-მდი დოქტორი ალბანუსი და კაპელერი.

ოთხშაბათობით, 12 საათზე რჩევა რემერტისა, ალბანუსისა, ანანოვისა და არტემიევისა.



| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . | 9 | 36 | 4 | 54 | | | | |
| მცხეთა. . . | — | — | — | — | - | 68 | - | 38 |
| გორი . . | 12 | 21 | 8 | 41 | 2 | 40 | 1 | 23 |
| ხაშური . . | 2 | — | 11 | 10 | 3 | 92 | 2 | 18 |
| ბეჟათუბანი | — | — | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . | — | — | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| ქუთაისი. . | 8 | 23 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | — | — | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი . | — | — | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი. . . | 11 | 44 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . . | 8 | 40 | | | | | | |
| ახ.-სენაკი. | — | — | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია. | — | — | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| ქუთაისი . | 11 | 51 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა. . | — | — | | | 3 | 98 | 2 | 21 |
| ბეჟათუბანი | — | — | ღამე | | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური . . | 5 | 41 | 1 | 6 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი . . | 7 | 23 | 3 | 6 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . . | — | — | | | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი . | 10 | 16 | 7 | 24 | 9 | 75 | 5 | 42 |

### ცეცხლის გემები

ა) ფოთიდამ მიდის:

ოდესისკენ—შაბათს დილის 8 საათ.
სტამბოლს—კვირაობით, დილას.

ბ) ოდესსიდამ:

ფოთისკენ—ორშაბ. ნასად. 3 საათ.
სტამბოლს—ოთხშაბათს, შუადღეზე

| ფოთიდამ: | I | | II | | III | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოხუმამდი . | 4 | „ | 3 | „ | 1 | „ |
| ქერჩამდი. . | 20 | 50 | 15 | 50 | 5 | „ |
| ტაგანროგ. | 34 | „ | 27 | „ | 8 | 60 |
| ოდესსამდი. | 38 | „ | 30 | „ | 9 | 60 |

| ტელეგრაფი | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს . . | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნახს | | 50 |
| როსტოვს ოდესას მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში. | 3 | 50 |
| ინგლისში. . . . . . . . | 3 | 75 |

### ფოშტა

ა) თფილისიდამ:

სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., ოზურგეთს — პარასკ. და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და შაბ. შახეთს — სამშ. და შაბ.

ბ) ქუთაისიდამ:

თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ. ზუგდიდს—ოთხშაბ.

გ) გორიდამ.

ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

დ) ფოთიდამ:

ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ |
|---|---|
| ღია წიგნის . . . . . . . . | 4 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 8 |

| ბირჟა | მან. | კაპ |
|---|---|---|
| პეტერბურგი, 11 აგვის. | | |
| ერთი მანეთი ღირს: | | |
| ლონდონში $3^{1}/_{2}$ პენსი. | — | 84 |
| პარიჟში $331^{1}/_{2}$ სანტიმი. | — | 89 |
| ესკონტი (სარგებლისფასი) | 6 | — |
| ბანკის ბილეთი $5\%$ | 99 | 25 |
| მოგებიანი (პირველისესხი) | 198 | — |
| მოგებიანი (მეორე სესხი) | 196 | 50 |
| გირაოს ფურცლები: | | |
| თფილ. სააზნ. ბანკისა. | — | — |
| ხერსონის ბანკის ($5^{1}/_{2}$) | 88 | — |
| მოსკოვის ($5\%$). . . . | 91 | 25 |
| აქციები: | | |
| ოდესის სავაჭრო ბანკის | 158 | — |
| ფოთი-თფილ. რკინ. გზის | 139 | 50 |
| შავიზღვის ცეცხ. გემების | 530 | — |
| კავკაზის და მერკურის. . | 205 | — |
| პირვ. საზღვევ. საზოგ. | 724 | — |
| პეტერბ. საზღვევ. საზ. | 263 | — |
| მოსკოვის საზღვევ. საზ. | 260 | — |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი, 14 აგვის. | | |
| პური შოთრაგალის ფთ. | — | 80 |
| ქერი ფუთი. . . . | — | 60 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 5 | 50 |
| — ამერიკისა, ფუთი. . | 6 | 30 |
| გაპენტილი ბამბა ფთ. | 8 | — |
| მატყლი თუშური ფთ . | 7 | 50 |
| — თარაქამისა ფთ. . | 7 | 50 |
| აბრეშუმი ნუხური გრ. | 2 | 60 |
| ქონი, ფუთი. . . | 4 | — |
| ქონის სანთელი ფუთი. | 5 | 60 |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 10 | 30 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 45 |
| — ცხვრისა, ლიტრა . | — | 54 |
| სპირტი, ვედრო. . . | 6 | 60 |
| შაქარი, ბროც. ფუთი . | 6 | 90 |
| — ფხვნილი ფუთი . . | 5 | 80 |
| ყავა გრგვალი ფუთი . | 19 | — |
| ზეთი ქუნჯუთისა ფთ. | 5 | 50 |
| ოქრო $^{1}/_{2}$ იმპერიალი. . | 6 | 27 |